# დააფასეთ ის, რაც წმინდაა!

**მითითებები:** ეს სავარჯიშო მშვიდ გარემოში გააკეთე. ბიბლიური მუხლების კითხვისას წარმოიდგინე, რომ მოვლენები შენ თვალწინ ვითარდება. რას ხედავ? რა გესმის? რას იგრძნობდი მოქმედ პირთა ადგილზე?

**მოქმედი პირები:** ისაკი, რებეკა, იაკობი, ესავი.

**მოკლე მიმოხილვა:** ესავი თავის ტყუპისცალს, იაკობს, პირმშოობას უცვლის შეჭამანდში.

❶ ***ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔ, ᲠᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ. ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 25:20—34.***

ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდში ხასიათის რა თავისებურებები გამოიკვეთა იაკობსა და ესავში? ________________________________________

________________________________________

შენი აზრით, როგორ გამოიყურებოდნენ ახალგაზრდობაში იაკობი და ესავი? ________________

________________________________________

რა გრძნობებს ხედავ იაკობისა და ესავის საუბარში, რომელიც აღწერილია 30—33-ე მუხლებში? ________________________________________

________________________________________

________________________________________

***ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲚᲘᲔ***

მოიშველიე შენთვის ხელმისაწვდომი საკვლევი მასალა და გაიგე, რა უფლებებით სარგებლობდა პირმშო. რატომ იყო ამ უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი? რას ნიშნავდა პირმშოობის ერთ მათლაფა შეჭამანდში გაცვლა? ________________

________________________________________

________________________________________

❷ ***ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔ, ᲠᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ. ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 27:1—10, 30—38.***

რა გრძნობის დანახვა შეიძლება ესავის სიტყვებში, როცა მიხვდა, რომ პირმშოს კურთხევა მისმა ძმამ მიიღო? ________________________________________

### გამოიკვლიე

არასწორად მოიქცნენ რებეკა და იაკობი, როცა ყველაფერი ისე მოაწყვეს, რომ კურთხევა იაკობს მიეღო? რატომ ფიქრობ ასე? (მინიშნება: იხილე დაბადების 25:23, 33)

### ❸ მოიქეცი ნასწავლის შესაბამისად. ჩამოწერე, რაც ისწავლე . . .

იმაზე, თუ რა შედეგები მოჰყვება ჩვენი მოთხოვნილებების მყისიერად დაკმაყოფილებას.

### საფიქრებელი კითხვები

რა არის შენთვის წმინდა?

რით შეგიძლია ცხადყო, რომ აფასებ იმას, რაც წმინდაა?

### ❹ რა იყო შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ბიბლიური მონაკვეთიდან, და რატომ?



www.jw.org © 2011 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania